საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

აქტუალური სამართლებრივი საკითხები საქართველოში მყოფი უკრაინელებისთვის

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის
პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW)
მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. გამოცემაზე
პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის
ოფიციალურ პოზიციას.

Brot für die Welt

Bread for the World –
Protestant
Development Service

გამოცემის ხელმძღვანელი: შორენა ლოლაძე

ავტორები: შორენა ლოლაძე, ილონა დიასამიძე, ცირა ჯანანაშვილი, გვანცა ბარბაქაძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი, 2022

რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში შეიარაღებული თავდასხმის დაწყების შემდეგ უკრაინის მოქალაქეები იძულებულნი გახდნენ, სამშობლო დაეტოვებინათ და სხვა ქვეყანაში უსაფრთხო თავშესაფარი მოეძებნათ. დღესდღეობით საქართველოში უკრაინის არაერთი მოქალაქე იმყოფება. არის ბევრი დეტალი, რომლებიც მათთვის აქტუალურია. გარკვეულ თემებზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მათ უკვე მიმართეს კონსულტაციისთვის. შესაბამისად, გთავაზობთ სამართლებრივ განმარტებებს ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ბროშურა მომზადებულია

2022 წლის 30 ივნისის

მდგომარეობით

რა სერვისებით შეუძლიათ სარგებლობა საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს?

• საცხოვრებლით უზრუნველყოფა

თბილისის მერიაში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ დაკავშირება დროებითი საცხოვრებლის მოთხოვნის მიზნით.

ცხელი ხაზი: 032 272 22 22

• განათლება

მთელი საქართველოს მასშტაბით უკრაინის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ საჯარო ბაგა-ბაღსა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ყოველგვარი წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სერვისის მიღება.

• ჯანდაცვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტ-

როს დაქვემდებარებაში არსებული „ცენტრალური ონლაინ-კლინიკის“ ფარგლებში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ, მოითხოვონ სასურველი სამედიცინო მომსახურების მიღება. ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა დამოკიდებულია საქართველოში მათი შემოსვლის თარიღზე.

ცხელი ხაზი: 15 22

● ტრანსპორტირება

უკრაინის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან და საომარი მოქმედებების გამო სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებენ:

- სს „საქართველოს რკინიგზა“ შესაძლებლობას აძლევს, მთელი ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერ რეისზე იმგზავრონ უფასოდ. დაინტერესებული პირები ბილეთის მისაღებად უნდა გამოცხადდნენ საქართველოს რკინიგზის რომელიმე სალაროში და წარადგინონ უკრაინის მოქალაქის პასპორტი;

- თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, შეუძლიათ, უფასოდ გადაადგილდნენ დედაქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტით. მგზავრობისთვის საჭიროა უკრაინის მოქალაქის პასპორტის წარდგენა თბილისის მერიაში.

თბილისის მერიის მისამართი:
ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

როგორ ხდება საქართველოში საცხოვრებელი ფართის დაქირავება?

2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეებისთვის მოქმედებს უფასო სერვისები. მათ შორის ერთ-ერთია დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ პირს თავად სურს საცხოვრებელი ფართის დაქირავება ან/და სახელმწიფო ვეღარ უზრუნველყოფს მას ამ დახმარებით, მნიშვნელოვანია, იცოდეს, რა უნდა გაითვალისწინოს ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას.

რას ნიშნავს ქირავნობა?

ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით, გამქირავებელი (ფართის მესაკუთრე) დამქირავებელს დროებით სარგებლობაში გადასცემს ფართს გარკვეული თანხის სანაცვლოდ. ამ ხელშეკრულების დასადებად სახელმწიფოსგან თანხმობის მიღება საჭირო არ არის.

რა ფორმით შეიძლება დაიდოს ქირავნობის ხელშეკრულება?

ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. თუმცა, ორივე მხარის უფლებების უკეთ დაცვისთვის, უმჯობესია, ის წერილობით გაფორმდეს.

რა ვადით შეიძლება დაიდოს ქირავნობის ხელშეკრულება?

ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

როგორ ხდება ქირის გადახდა?

ქირის გადახდა ხდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მაგალითად, მისი გადახდა შეიძლება ხელშეკრულების ვადის დაწყებისას, დასრულებისას ან გარკვეული პერიოდულობით, როგორც უნაღდო, ისე ნაღდი ანგარიშსწორებით. ორივე მხარის უფლებების უკეთ დაცვისთვის, უმჯობესია უნაღდო ანგარიშსწორების ფორმის გამოყენება.

როგორ ხდება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა?

- თუ ხელშეკრულება დადებულია კონკრეტული ვადით, ვადის გასვლისას წყდება ხელშეკრულება;
- თუ ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, იგი შეიძლება შეწყდეს მხარეთა მიერ 3 თვით ადრე შეტყობინების შემდეგ (საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს).

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამქირავებელი არ უხდის გამქირავებელს ქირის თანხას.

როგორ შეიძლება მოხდეს დამქირავებლის გამოსახლება ფართიდან?

იმ მომენტიდან, როდესაც წყდება ხელშეკრულება, გამქირავებელს (ფართის მესაკუთრეს) აქვს უფლება, დაიბრუნოს ფართი.

თუკი დამქირავებელი თავისი ნებით არ ტოვებს ფართს, მისი დაბრუნების ერთადერთი გზა სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვაა. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს ფართიდან დამქირავებლის გამოსახლების გადაწყვეტილებას, იწყება გამოსახლების პროცედურა.

როგორ ხდება საქართველოში დროებით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია?

ბევრი პირი საკუთარი მანქანით შემოვიდა საქართველოში და აქ ამ დრომდე რჩება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ფლობდნენ სათანადო ინფორმაციას ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

რამდენი დღის შემდეგ არის აუცილებელი სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია?

ზოგადი წესის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე (ან მისი წარმომადგენელი, რომელიც ფაქტობრივად ფლობს და იყენებს ავტომობილს) ვალდებულია, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე 90 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით შემოყვანილი სატრანსპორტო საშუალების (მანქანის) დროებითი რეგისტრაცია.

თუმცა, უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით, 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 1-ელ ივლისამდე პერიოდში უკრაინის მოქალაქეების მიერ შემოყვანილ მანქანებზე სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება გადავადებულია 2022 წლის 1-ელ სექტემბრამდე.

რას ნიშნავს და სად ხორციელდება დროებითი რეგისტრაცია?

დროებითი რეგისტრაციის საფუძველზე, ავტომობილის მფლობელს გადაეცემა ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, ასევე, მანქანას მიენიჭება სპეციალური ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი). შედეგად, პირი უფლებამოსილი ხდება, თავისუფლად გადაადგილდეს ამ ავტომობილით საქართველოს ტერიტორიაზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით რეგისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ახორციელებს.

რა დოკუმენტაციაა საჭირო დროებითი რეგისტრაციისთვის?

რეგისტრაციისთვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია, წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება, რომელიც ივსება ადგილზე, შსს-ს მომსახურების სააგენტოში;
- ავტომობილის მფლობელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ავტომობილის საექსპერტო შემოწმების (რომელსაც მომსახურების სააგენტოში თავად სააგენტოს სპეციალისტები ატარებენ) შედეგად შედგენილი დათვალიერების აქტი;
- დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ავტომობილის რეგისტრაციის მოწმობის საფასური 35 ლარს შეადგენს, ხოლო ავტომობილის წყვილი სარეგისტრაციო ნომრის გაცემის ღირებულება ასევე 35 ლარია. შესაბამისად, ჯამში 70 ლარის გადახდაა საჭირო).

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციის მსურველი პირი დოკუმენტაციას სრულად არ წარადგენს?

რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების არასრულად წარდგენის შემთხვევაში, სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელს უფლება აქვს, დაზუსტების მიზნით დამატებითი დოკუმენტაცია მოითხოვოს.

რა სანქცია შეიძლება დაეკისროს პირს, რომელიც დაარღვევს დროებითი რეგისტრაციის ვალდებულებას?

დროებითი რეგისტრაციის ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირს ეკისრება ჯარიმა - ყოველ დაგვიანებულ დღეზე 50 ლარის ოდენობით. თუმცა, დარღვევის დღეების მიუხედავად, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

უკრაინის მოქალაქეებს, რომლებიც 2022 წლის 1-ლი იანვრიდან 1-ელ ივლისამდე პერიოდში შემოვიდნენ საქართველოში თავიანთი ავტომანქანებით, 2022 წლის 1-ელ სექტემბრამდე მანქანის დროებითი რეგისტრაციის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ჯარიმა არ დაეკისრებათ.

როგორ შეუძლიათ უკრაინის მოქალაქეებს საქართველოს საზღვრის გადაკვეთა?

სჭირდება თუ არა უკრაინის მოქალაქეს ვიზა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსასვლელად?

უკრაინის მოქალაქეს უფლება აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდეს უვიზოდ და ქვეყანაში ვიზის გარეშე სრული ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდეს.

რა დოკუმენტები სჭირდება უკრაინის მოქალაქეს საქართველოს საზღვრის კვეთისთვის?

- საქართველოს ტერიტორიაზე შემოსასვლელად პირს თან უნდა ჰქონდეს მოქმედი პასპორტი;
- მოქმედი პასპორტის არქონის შემთხვევაში, სასურველია, პირს თან ჰქონდეს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის პირადობას;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია, უცხოელს ნება მიეცეს, გადმოკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სამგზავრო დოკუმენტის გარეშე;
- ასევე შესაძლებელია წინასწარი კონსულტაციის მიღება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ნომერზე - (032) 241-42-42.

შეუძლია თუ არა საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეს ქვეყნის დატოვება და რა პირობებით?

- საქართველოში მყოფ უცხოელს შეუძლია, დატოვოს ქვეყანა;
- უცხოეთის მოქალაქე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიიდან მიემგზავრება სხვა ქვეყანაში, სახელმწიფო საზღვარს კვეთს იმ საბუთებით, რომლებითაც ის საქართველოში შემოვიდა;
- უცხოელმა საქართველო უნდა დატოვოს საქართველოში კანონიერი საფუძვლით ყოფნის ვადის ამოწურვამდე.

რა შემთხვევაში შეიძლება უკრაინის მოქალაქეს უარი ეთქვას საქართველოს დატოვებაზე?

უკრაინის მოქალაქეს საქართველოდან გასვლაზე შეიძლება უარი ეთქვას:

- თუ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მას ეზღუდება საქართველოდან გასვლა;
- თუ იგი მსჯავრდებულია ჩადენილი დანაშაულისთვის – სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისგან გათავისუფლებამდე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგი თავს არიდებს საქართველოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას – მოვალეობის შესრულებამდე;
- საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

რა შემთხვევაში შეუძლია უცხოელს საქართველოს სასამართლოში დავა საოჯახო საკითხებზე და რომელი ქვეყნის კანონმდებლობა გამოიყენება საქმის განხილვისას?

საქართველოში დღესდღეობით უკრაინის ბევრი მოქალაქე იმყოფება. შესაბამისად, აქტუალურია საკითხი, შესაძლებელია თუ არა საქართველოში მყოფ მეუღლეებს შორის არსებული დავების განხილვა ქართულ სასამართლოებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომელი კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს ამ ტიპის დავები.

- **მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე** საქართველოს სასამართლოში დავის დაწყება შესაძლებელია, თუ ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

- **მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენისა და მათთან დაკავშირებულ საქმეებზე** საქართველოს სასამართლოებს დავის განხილვის უფლება აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

- **მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება:**

  - იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

- ასევე, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი.

- **განქორწინების, ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის, ქორწინებისა ან მეუღლეთა თანაცხოვრების ფაქტის დადგენის თაობაზე** დავების განხილვა საქართველოს სასამართლოებს შეუძლიათ, თუ:

  - ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო;
  - მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;
  - ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

- **ქორწინების შეწყვეტისა და მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი:**

  - რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება (მოქალაქეა) ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;
  - სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;
  - რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

- **ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სამართალი გამოიყენება იმ შემთხვევაში,** თუ უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია, ამავე დროს, განქორწინების მსურველი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მზადაა, კონსულტაცია გაუწიოს საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს. იურისტთან პირადი შეხვედრის დასაგეგმად საჭიროა წინასწარ ჩაწერა.

კონსულტაციაზე ჩასაწერად დაგვიკავშირდით ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 10:30 საათიდან 11:00 საათამდე, ნომრებზე:

- სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე - (032)-2-99-50-76
- სისხლის სამართლის საკითხებზე - (032)-2-30-72-36

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ასევე შესაძლებელია სატელეფონო კონსულტაციის მიღება 11:00-14:00 და 15:00-17:00 საათებში. სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება - (032)-2-99-50-76, სისხლის სამართლის მიმართულება - (032)-2-30-72-36.

გარდა ამისა, შეგიძლიათ მიიღოთ ონლაინ კონსულტაცია, რისთვისაც კონკრეტული შეკითხვა უნდა მოგვწეროთ მეილზე - legalaid@gyla.ge. პასუხს მიიღებთ რამდენიმე სამუშაო დღის ვადაში.